სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/126

ქ. თბილისი

11 ივლისი 2025 წ.

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიების და მისი სამდივნოების შექმნის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №01-05-02/120 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 11 ივლისის №01-05-02/18 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიების და მისი სამდივნოების შექმნის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №01-05-02/120 დადგენილებით შექმნილ „მშენებლობისა და სამოქალაქო ინჟინერიის საკონკურსო კომისიის“ შემადგენლობაში და კომისიის წევრად ზურაბ მეგრელიშვილის ნაცვლად განისაზღვროს ედუარდ კუხალაშვილი.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**